Agenda

2018 წლის 17 მაისს კახეთში ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია „მოვუსმინოთ მომავალს და მოვემზადოთ მისთვის“

კონფერენცია იმართება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სმენის საერთაშორისო დღის 2018 წლის სლოგანით და მისი მიზანია, საქართველოში სმენის დაზიანების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის შესახებ პოზიციის გამოხატვა და რეაბილიტაციის საკვანძო საკითხებზე შეთანხმება, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება და შემდგომში რეკომენდაციების შემუშავება სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ბავშვების ადრეული ჩარევის სახელმწიფო გაიდლაინის მოსამზადებლად.

კონფერენციის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან: საქველმოქმედო ფონდი „აი ია“, შპს „კიდსმენა“, ყელ-ყურ ცხვირის ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა და ველფეარ ფაუნდეიშენი. კონფერენციის მხარდამჭერები არიან: ევროკავშირი, კოხლეარული იმპლანტის მწარმოებელი კომპანია Med-El-ი და კომპანია „მეღვინეობა შილდა“.

კონფერენციაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, საქართველოს პარლამენტის, თბილისის მერიისა და საკრებულოს ჯანდაცვისა და განათლების უწყებების ხელმძღვანელები.

კონფერენციაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: მონიკა ლენჰარდტი (ვენა, ავსტრია) ბოდო ბერტრამი (გერმანია, ჰანოვერი), პროფესორი გიორგი თავართქილაძე (რუსეთი, მოსკოვი), დარგის მსოფლიოში აღიარებული სხვა უცხოელი სპეციალისტები. კონფერენციის დისკუსიაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ დარგის წარმომადგენლები საქართველოდან: პროფესორი შოთა ჯაფარიძე (ყელ-ყურ-ცხვირის ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქევანიშილის კლინიკა), პროფესორი ქეთევან ნემსაძე (საქართველოს პედიატრიის აკადემიის პრეზიდენტი) ეკატერინე თორთლაძე (საქველმოქმედო ფონდი „აი ია“).

კონფერენციის მუშაობის შედეგად სახელმწიფოს ექნება შემუშავებული სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის ადრეული ჩარევის შესახებ პოზიცია, შეიქმნება მრჩეველთა საბჭო და გაფორმდება მემორანდუმი. ჩამოყალიბებული მრჩეველთა საბჭო იქნება საიმედო რესურსი სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების ჯანმრთელობის, განვითარებისა და მათი ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული ეფექტური მართვის მოდელის ჩამოსაყალიბებლად.

კონფერენცია გაიმართება კახეთში, თელავის რაიონში, სასტუმრო „ლოპოტა სპა რეზორტში“. სამუშაო დრო 10:00-17:00. იმავე დღეს, 20:00 დაგეგმილია გალა-ვახშამი. 18 მაისს, მოეწყობა ტური კომპანიაში „მეღვინეობა შილდა“.

საკონტაქტო პირი
ეკატერინე თორთლაძე: infoaiiafoundation@gmail.com
ტელ.:595 626 947